ხელშეკრულება №05/08

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 13 მაისი ქ. ონში

შემსყიდველი: ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წარმომადგენელი საკრებულოს თავმჯდომარე შალვა ჯაფარიძე
მისამართი: ქ. ონი, დ. აღმაშენებლი მოედანი №1
ს/კ : 237978275

მიმწოდებელი: ი/მ "გივი ლობჯანიძე"
მისამართი, ტელეფონი: ქ. ონი, ბაბაზოვის ჩიხი №4

წარმომადგენელი: გივი ლობჯანიძე

საბანკო რეკვიზიტები: საქ. „ლიბერთი" ბანკის ონის ფილიალი ბ.კ. 220101449
ანგ.№0112111201432000

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ზედდებულში აღნიშნული **საქონელი** ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:

5(ხუთი) ცალი მობილური ტელეფონი

(საქონლის მოკლე აღწერა)

1.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. **ხელშეკრულების ფასი**

2.1. **ხელშეკრულების ფასი:**
5 (ხუთი) ცალი მობილური

ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 400 (ოთხასი) ლარი.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს.

2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. **ხარისხი**

საქონლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ინვოისში აღნიშნულ მაჩვენებლებს და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარისხის დამადასტურებელ საბუთს:

3.1. საგარანტიო პირობები განიხილება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგარანტიო ტალონის შესაბამისად.

4. **მიწოდების წესი**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაცია, მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, მიმწოდებლის საგარანტიო ტალონი.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება., ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს..

4.3. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერით.

4.4. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე გარდა ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით (საგარანტიო პირობები) გათვალისწინებული რისკებისა.

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1. ანგარიშწორება იწარმოებს საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ანგარიშფაქტურის გადაცემიდან 7 (შვიდი) საბანკო დღის ვადაში.

6. გადახდის ფორმა: ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

7. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია თანხის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში დააკისროს მყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადუხდელი თანხის 0,2 %-ის ოდენობით.

8. სხვა პირობები

8.1. მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასრული შესრულებით მიყენებული ზიანი.

8.2. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავის მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

8.3. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაო საკითხს განიხილავს სასამართლო.

8.4. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
/შალვა ჯაფარიძე/	/გივი ლობჯანიძე/